გივი აზმაიფარაშვილი

დირიჟორი, სახალხო არტისტი გივი აზმაიფარაშვილი - 1930 წლის 1 სექტემბერს დაიბადა. 1955 წელს დაამთავრა კონსერვატორიის საფორტეპიანო ხოლო მოგვიანებით 1960 წელს კი - პეტერბურგის სახელმწიფო კონსერვატორიის სადირიჟორო ფაკულტეტი. იგი იყო 1955-1967 წლებში საქართველოს კამერული ორკესტრის დამაარსებელი და პირველი სამხატვრო ხელმძღვანელი. 1966-1974 წლებში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორი, ხოლო 1974-1982 წლებში კი - ამავე თეატრის მთავარი დირიჟორი გახდა. 1982 წლიდან საქართველოს ტელე-რადიო სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საოპერო მომზადების კათედრის პროფესორი იყო.

გივი აზმაიფარაშვილი 2003 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

გივი აზმაიფარაშვილის არქივი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. გივი აზმაიფარაშვილის ავტობიოგრაფია.
   1960 წ. 20 ოქტომბერი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

2. გ. აზმაიფარაშვილის შრომის წიგნაკიდან ამონაწერი.
   1960 წ. 20 ოქტომბერი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.

3. გ. აზმაიფარაშვილის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
   1960 წ. 20 ოქტომბერი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. ერთვის ფოტო. 3 გვ.

4. ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დირექტორ დ. მჭედლიძის მიმართვა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დირექტორ იონა ტუსკიასადმი, გ. აზმაიფარაშვილის ასპირანტურაში გამოცდების ჩაბარების შესახებ.
   1960 წ. 20 ოქტომბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ასლი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.

5. ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექციის მიერ გაცემული გ. აზმაიფარაშვილის დახასიათება.
   1960 წ. 20 ოქტომბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ასლი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.

6. გ. აზმაიფარაშვილის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ასპირანტურის საგამოცდო ფურცელი (საშემსრულებლო ფაკულტეტი, განხრა-საოპერო და სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი)
   1960 წ. 29 ოქტომბერი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ. 2 ეგზე.

7. გ. აზმაიფარაშვილის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ასპირანტურის საგამოცდო ფურცელი.
   1960 წ. 1 ნოემბერი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.

8. გ. აზმაიფარაშვილის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ასპირანტურის საგამოცდო ფურცელი.
   1960 წ. 3 ნოემბერი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.

9. საბჭოთა კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილის ნ. პოპოვის დეპეშა ოთარ თაქთაქიშვილისადმი, გ. აზმაიფარაშვილის აფრიკის ქვეყნებში სამუშაოდ გაგზავნის შესახებ.
   1969 წ. 4 სექტემბერი. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

10. საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილის ვ. კუპრავას მიმართვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, გ. აზმაიფარაშვილის აფრიკის ქვეყნებში სამუშაოდ გაგზავნის შესახებ.
    1969 წ. 23 სექტემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

11. საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილის ვ. კუპრავას მიმართვა საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროსადმი, გ. აზმაიფარაშვილის აფრიკის ქვეყნებში სამუშაოდ გაგზავნის შესახებ.
    1969 წ. 23 სექტემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

12. გ. აზმაიფარაშვილის ანკეტა. ერთვის ავტობიოგრაფია.
    1974 წ. 1 თებერვალი. თბილისი. ბლანკი. ხელით შევსებული. კალამი. რუსულ ენაზე. ერთვის ფოტო. 6 გვ.

13. საქართველოს თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმის მიერ გაცემული გ. აზმაიფარაშვილის ცნობარი.
    1977 წ. 5 ივლისი. თბილისი. ბლსნკი. ხელით შევსებული. კალამი. 3 გვ.

14. საქართველოს თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმის მიერ გაცემული გ. აზმაიფარაშვილის ცნობარი.
    1977 წ. 5 ივლისი. თბილისი. ბლანკი. ხელით შევსებული. კალამი. 3 გვ.